<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ სამ ჩიხს მიენიჭოს მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:483177 Y:4629363
X:483150 Y:4629356
ნინო დავითაშვილის ქ.
X:483266 Y:4629316
III ჩიხი
X:483279 Y:4629284
X:483236 Y:4629252
X:483291 Y:4629227
II ჩიხი
X:483322 Y:4629158
X:483296 Y:4629143
X:483321 Y:4629151
X:483404 Y:4629158
I ჩიხი
X:483297 Y:4629107
X:483348 Y:4629118
ნინო დავითაშვილის ქ.
X:483317 Y:4629062
N
1:3,000

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011721131030723

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 12759

23 / იანვარი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ქალბატონო ნინო,

2022 წლის 18 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის N 14-0122322523 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 306647/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილი იქნა ბარალეთის ქუჩასა და შესახვევში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩებზე დასანომრი ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ბარალეთის ქუჩა“ (სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“).

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ ბარალეთის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის, განფენილობის გათვალისწინებით, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან ბარალეთის ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულების განტოტებებად და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ გეოგრაფიული ობიექტის დაყოფის (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032305382**
თარიღი: **22/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2023 წლის 23 იანვრის საქმე #06-0323023108-03 დაკავშირებით.
როგორც წერილიდან ირკვევა, ბარალეთის ქუჩასა და შესახვევში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია ამ ეტაპზე შეუძლებელია, ვინაიდან ბარალეთის ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი-ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი.
შემდგომში ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ბარალეთის ქუჩის მონაკვეთის და ჩიხების სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230693820**
თარიღი: **10/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.02.2023 წლის #03-032305382 (22.02.2023 წ. #14-01230532909-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ნინო დავითაშვილი

(1882-1958)

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი

დაიბადა გორში1882 წელს. მან პირველი ნაბიჯები გადაგა ავჭალის აუდიტორიაში, შემდეგ მოღვაწეობდა ქუთაისის თეატრში, თბილისის ქართულ დრამატულ დასში, ხოლო 1921 წლიდან სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის წამყვანი მსახიობი; ღირსეულ პარტნიორობას უწევდა სცენის კორიფეებს: ლადო ალექსი-მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, ნატო გაბუნიას. მის მიერ განსახიერებულ როლებს ახასიათებდა გულწრფელობა და კეთილშობილური სისადავე.

ნინო დავითაშვილს, შეიძლება ითქვას, სცენაზე გზა ილია ჭავჭავაძემ დაულოცა. ქართულ პროფესიულ თეატრში გამოცხადებულ კონკურსში, ვალერიან გუნიას რჩევით, ნინომაც მიიღო მონაწილეობა. მის საგამოცდო ფურცელზე ილიამ დააწერა: „დავითაშვილის ქალი უთუოდ უნდა იქნეს დასში მიღებული“.

იმხანად დასს სათავეში ედგა აკაკი წერეთელი, რომელმაც მას პირველი ტურფას როლი მისცა — „პატარა კახში“. ამას მოჰყვა სცენური სახეების მთელი გალერეა — სონია (ანტონ ჩეხოვის „ძია ვანო“), გაიანე (ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“), ოფელია (უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“), დედოფალი („რუი ბლაზი“), ქეთევანი (დავით ერისთავის „სამშობლო“), ივდითი (კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), ამალია (ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“), ირინე (დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“), ზაალის დედა („არსენა“), პრასკოვია (ვანიონ დარასელის „კიკვიძე“), ეფემია (მიხეილ მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“), ზიენაბი და მაიკო (ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“) და სხვა.

მსახიობი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.